სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნით თვიდისში	გაუგზავნელათ:
და გარეშე ადგილებში:	
ერთი წლისა — 4 მ.	— 3 მ. —
ნახევარი წლისა — 3 —	— 2 მ. —
სამი თვისა — 1 მ.	— 1 მ. —

მესუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. (დუბლირის) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ» при типографіи Г. Церетели и ко. (Дубелира-*

№ 9 შაბათი | V | 15 მაისი, 1872 წ.

შინაარსი:

რუსეთის ცხოველების მფარველ საზოგადოებისაგან, რამდენიმე სიტყვა ფრინველების დაცვის შესახებ.—რამდენად სარფა აქვს შეერთებით ცხოვრებას და მუშაობას.—მკითხაველების ექიმობა იმერეთში.—მკითხაველების ექიმობა.—

რუსეთის ცხოველების მფარველ საზოგადოებისაგან.

რამდენიმე სიტყვა ფრინველების დაცვის შესახებ.

ვ. ე. ივერსენისა.

ბუნებაში ყველა ქმნილებანი არიან მჭიდროდ დამოკიდებული ერთი ერთმანეთზედ: როგორც არც ერთ მცენარეს არ შეუძლიან არსებობა თუ მინერალური ნივთები არ არიან გახსნილნი წყალში, ეგრეთვე არც ერთ ცხოველს უმცენარეთ ცხოვრება არ შეუძლიან.

თუ რომ სხვა და სხვა გვარი მცენარეები ბევრია, მაშინ სხვა და სხვა გვარის ცხოველებიც ბევრნი არიან; თუ რომელსამე ადგილას ამოსწყდება რომელიმე მცენარე, მაშინ ის ცხოველებიც გაწყდებიან, რომლებიც იმ მცენარით იკვებებოდნენ.

მცენარების მუდრობა ირდვევა თივის მჭამელი ცხოველებისაგან, რომლებიც ბევრთვე მოელიან დატემას სხვა უთვრო დონიერი ცხოველებისაგან, რომლებიც ამათი ხორცით იკვებებიან. ესრეთი ბრძოლა ცხოვრებისათვის ეთვალ ნაბიჯის გადადგმაზედ ხდება და მის მსხვერპლათ ხდება თითონ კაციც, თუ ის თავის გონებას ისე არ მოიმარბენს, რომ ეს ბრძოლა თავის სასარგებლოდ გადაქცეოს.

რადგანაც ჩვენი წინაპარნი გულ-გრილათ ეკიდებოდნენ ბუნებას, ამისათვის ჩვენ ძალა ბევრად ბევრი სანშილი თავ-გადასავალი შეგვენთხვევა ხოლმე. წინაპართ მოუკვდათ სხვა და სხვა გვარი მრავალი მცენარეები და ამას კი ივიწყებდნენ, რომ ამასთანავე მრავლდებოდნენ მათი მტრები მწერები, რომლების ამოსწყვეტლად არავერ საშუალებებს არ იგონებდნენ. ეს კიდევ არაფერი: რაცა იგინი ვერ გაიგებდნენ, თუ რისგან ხდებოდა ესა, მაშინ ისინი დაიწყებდნენ ანანას იმგვარად, რომელიც სრულებით დასაჯერებელი არ იყო. ყველა ამ გვარი გარემოებების გამო ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს ჩვენ: 1) მრავალი მავნებელი ცხოველები და 2) დაუთვლელი და მნელად ამოსაკვეთი ტრუ-მორწმუნებები.

ოთვალ წელიწადს გვესმის ჩივილი მწერების მეტრებლობაზედ: აქ და აქ იმათ გაუფუჭებია მთლად ყანები მთელს ეუზდაში, სხვაგან კიდევ მთელი კუბერნიის მცენარები წაახდინესო და სხ. ეს ფიქრი ანანასთვის გვაძლებს, რომ ვერწუნებით სხვა და სხვა ტრუ-მორწმუნობებს, არ გვინდა ანანა ხელოვნებით გავიცნოთ ბუნება, და არ ვსარგებლობთ მტრის გასაგმირად იმ იარაღით, რომელიც თითონ ბუნებისგან გვაქვს მონიჭებული.

ნამდვილი და სარწმუნო იარაღი მავნებელი მწერების დაახოცვად ფრინველები არიან: ესენი ყველას მუქთად უშველიან მავნებელი მწერების გაწყვეტას, კინც კი იმათ კარგად მოიხმარებენ; მხოლოდ უნდა დავაკვირდეთ მათ ცხოვრებას, შევისწავლოთ იგინი, რომ შეგვეძლოს მოვიხმაროთ იქა, სადაც დაგვჭირდებიან.

გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ ყველა მწერი, რომელიც კვერცხში იმყოფება, ერთი დღის განმავლობაში თავის წონა საჭმელსა ჭამს. ამოდენავე საჭმელი

ქ. ზარეულის სახ. ს. ე. ბ. ბ. სახელმწიფო რესპუბლიკა ბიბლიოთეკა

უნდება ერთ დღეში მწერის მჭამელ ფრინველს, ეს ცხადია. მწერის კვერცხმა იმოდენა სიჭმელი უნდა შეინახოს, რამდენიც საჭირო იმისთვის კვერცხიდან გამოსვლამდის. ფრინველი ბუდეს ტქვიტად იმტკვა იმისთვის, რომ მოიმოგოს სიხარდო; ამ ტქვიტი მოძრაობის კამო იგი ჭკარგავს ნაწილებს და მალე მაფშიკდება ხოლმე.

ველა ფრინველები ძალიან მჭამელები არიან, მათი კეკი საჭმელს სარჩოთ ხარშავს, ფრინველში ბევრი ძალა ეკარგებათ; ამისათვის ამათი სხეული, და განსაკუთრებით თვალები, ისე არიან მომართულები, რომ მწერებს ძიელ ადვილათ ჭიულობენ ხოლმე.

რომ ფულათ ვინგარიშოთ ფრინველებისაგან მოტანილი სარგებლობა მწერების ხოტვით, ცხადად დავინახავთ, რომ 100 (ას) სული ფრინველი, რომლებიც ოტ და ხუთ გირვანქამდე გამოვლენ, მთელი დღის განმავლობაში ოტ და ხუთ გირვანქა მტენარეულ საჭმელს არჩენს მწერების წახდენისაგან, მთელი ზაფხულის განმავლობაში კი, ე. ი. ოთხმოტ და ათ დღეში, 3,250 (სამასთას ორას ორმოტ და ათ) გირვანქას; ვსთქვათ, ან მირს ან მარცვალს არ ჩენს, მაგრამ ამ ნაიჩი ანგარიში ძალიან შეცდომილება იქნება, ამისთვის რომ, ველა მწერები მირიანად არა საჭმენ რომელსამე მტენარეს; ხშირად მოხდება, რომ მწერი მირიანად არ შესჭამს ხოლმე ეკვიალს, არაფედ ერთ დღის განმავლობაში ათეულებს რამდენიმე ჩვიეილს და ისიც ზოგიერთა მის ნაწილებს. ეკვიალი თვის თავად ჩვენთვის არაფერი იქნებოდა, რომ იმ ნაუოფებში ჩვენ არა ვსაჭირობდეთ.

ველამ იცის, რომ მზენელ-მთესველი კაცი, მწერების წულობით, ხშირად უბედურთ დარჩება ხოლმე, მეფოსტენ უმწვანილოთ, მეფიდ უნაუოფოთ და სხვა. და მთელი რომელიმე ადგილის მეფოვრებლები ხშირად შიმილით შეწუხდებიან ხოლმე, თუ გვალვისაგან მოსავალი გაეფუჭდება, და მწერებისაგან კიდევ ვენახები და ბოსტნეულობა, ანუ წინაადმდეგ. ერთის სიტყვით, ველამ იცის მწერებისაგან ვნების მოტანა. ჩვენ რომ ვინგარიშოთ ფულა ის ვნებები, რომლებიც რესეთში მწერებს მოეტანოთ, ფულათ, და დღიურ დათვინ მიწაზე ანუ ტყეზე ხეთი მანეთი ჩავაგდოთ, მაშინ გაიგებთ, რომ მთელი წლის განმავლობაში მწერები რამდენიმე მილიონი მანეთის ზარალს გვაძლევენ.

სრულებით გაწუეტა მწერებისა, რომლებიც ამოდენა ზარალს გვაძლევენ, ეგვანება იმას, რომ მთლად შეეტკალოთ ბუნების კანონი, რომელიც, რასაკვირველია, სრულებით შეუძლებელია, მაგრამ საკმაოდ შემცირება ამ ზარალისა კი შეიძლება მაშინ, როდესაც მოვიგონებთ საშუალებებს მწერების მჭამელი ჩიტებ.ს გასამრავლებლად, წინათ ეს მწერებისაგან მოტანილი ზარალი არ იყო ძალიან საგრძნობელი არა იმისთვის, რომ მაშინ მტენარეებს ტოტასა სოფესვდნენ, არამედ იმისთვის რომ მწერების მჭამელი ჩიტები ბევრნი იყვნენ და სხვა ქვეყნებიდგანაც ბლომათ მოდიოდნენ.

ეხლა კი, როდესაც მწერებისაგან უფრო ბევრი ზარალი გვეძლევა, შემცირდა მფრინველების რიცხვი: 1) იმისთვის, რომ ხალხი გამრავლდა და მოიტეტეული ნაწილი მფრინველებისა შანდებიან და ერიდებიან მეფოვრებლებთან სასლოვეს; 2) იმისთვის, რომ რამდენიც მანდარები ბევრი იხეფებ, იმდენი მათზედ ამოსული ხეები და ბუჩქები ისპობიან, რომლებზედაც ფრინველები აგოებდნენ ბუდეებს სარტეეების კამოსაჩეკად და თვითონ მტრებისაც ემალებოდნენ; 3) იმისთვის, რომ სხვა და სხვა ქალაქებში და სოფლებში კეთეფებელობით და შემოდგომობით მილიონობით იხოტებიან სხვა ქვეყნებშა წამსლველი ფრინველები, და 4) კიდევ იმისთვის, რომ ჩვენ ბეულ-ბრილათ ვეკიდებით მფრინველებს, რადგანაც მათი ცხოვრება და მოთხოვნილებანი არ ვიციით, კიდევ იმისთვის, რომ ჩვენ ტრუმორწმენებებს უფრო ვერწმენებით, ვინემ მეცნიერებას და მის კამოკვლევას.

თუ რომ მოვინდომებთ და კარგად დავაკვირდებით ბუნებას, ჩვენ მაშინვე დავრწმუნდებით იმ ჭეშმარიტებაში, რომ კაცს უფრინველებოთ ცხოვრება არ შეუძლიან, რომ იმისთვის საჭირო კაიცნოს ამ მშვენიერი ცხოველების ცხოვრება, როგ შეეძლოს იმათ მეფთი შრომით სარგებლობა დამასთანავე ცოილობდეს მათ დაცვას და გამრავლებას თავის ახლოს, და მე დარწმენებული ვარ იმაში, რომ კინტ კი ერთხელ მაინც კარგად დაკვირდება ბუნებას, ის მაშინვე თავის თავს ვალდებულად გახდის, მოიხმაროს ველა საშუალებები ხალხის კეთილ დეგობის დასაცველად, ნამდვილი ტოდნის გასავრცელებლად ფრინველების მნიშვნელობასზედ და კიდევ იმისთვის რომ შთაგონოს ხალხს იმ საველების წარჩანებულება, რომლებიც დადგენილ არიან მონადირეებისა და ფრინველების შესახებ და ამით დაიცვის საზოგადოდ ველა სარგებლობის მომტანი ცხოველები.

რამდენად საჭიო აქვს შეერთებით ცხოვრებას და მუშაობას.

ღარიბ-ღატაკი კაცი, უფრო სახლობის პატრონი, ეიცით ძალიან ბევრს მუშაობს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჰკებოს თავისი თავი და თავისი სახლობა. მიწის შესამუშავებლად (თუ აქვს მუშაკაცს ე'ს მიწა) ბეერი შრომა უნდება, მაგრამ ეს შრომა, ეს ნამუშავარი ყოველთვის არ ასაჩუქრებს ხოლმე მუშა-კაცს; თუმცა ბეერს მუშაობენ, მაგრამ ზოგმა არ იცის ხეირიანათ შემუშავება, ზოგს კიდეე ცოტა შესამუშავებელი მიწები აქვს და ვინიცობა მოსავალი არ მოვიდა, მაშინ, რასაკვრელია, მუშაკს დაკლებდა საზდო და ბეერს ვაი-ვაგლახს ითმენს. თუ მოსავლიანი წელიწადია, მაშინ საწყალ მუშაკს ცხოვრება კიდეე როგორმე შეუძლიან, მაგრამ ბალა ეს არის, რომ ხშირათ არ არის ხოლმე ამისთანა წლები. საწყალი მუშაკი მალ-მალ თავის მიქანცული თვალებით დაინახავს ხოლმე უმოსავლო წლებს, გულმუცელი სისხლით ემსება, თვალები ეცრემლება იმ აზრის წარმოდგენის ჟამს, რომ იმას ცოლ-შვილი შიმშილით გაეჟლიტება. მაშინ ბედკრული მუშა მონახავს სხვა ღონისძიებებსა. წავა სადმე, ან მივა ვისთანმე და დაიწყობს დღიურათ მუშაობას, რომ ეგებ ამ ჯვარი მუშაობით აღებული ფულით როგორმე ასაზდოვოს სახლობა და უღროოთ სიკვდილი—ეს საშინელი სტუმარი—არ აწვიოს. გარდა ამ მოუსავლობის, სხვაც ბეერი რამე არის შემაიწროებელი გლეხი კაცისა: სახემწიფო ხარჯი, ვალები და სხვა., ყველა ესენი თხოულობენ ახალ შრომას, ყველა ესენი აყენებენ სიცხეს და აი მუშა კაცი, რომელმაც ვერ შეუძლო ამ სიცხეს, მიდის ქალაქებში, ქარხანებში, ფაბრიკებში და ეძებს სამუშაოს, დაიარება აქა იქ: ხან ერთთან მივა, ხან მეორე მეურნესთან, რასაკვრველია, ეძებს იმისთანა სამუშაოს, რომელიც იმას სარგებლობას უფრო მისცემს და რომელიც უფრო სარფაა, ამასობაში კი დროება მიიპარება, ჭამა-სმა საჭიროა, ბეერი ცდა აღარ იქნება, და თავდება ჩვეულობრივათ იმითი, რომ მუშა ხეირიანი სამუშაოს ვერ მშოვნე, ეცემა გამგელებული იმისთანა სამუშაოს, რომელიც იმას პირველათ ხელში მოხვდება და იღებს იმ უხვირო, უსარფო ფასს, რომელსაც აძლევს იმის დამქერი. მეურნე, (მოსახლე) თვალ-ყურს ადევნებს თავის ქონებას; ეძებს, რომ ყველა იაფათ მოიყვანოს. იმას როგორც მდიდარ კაცს, შეუძლიან მოითმინოს რამდენი ხანიც უნდა, იმისთვის უფრო სასარგებლოც არის, რომ მოიცადოს იქნამდისინ, როდესაც მუშები, რომლებსაც უნაკლულობა აწუხებთ და ცდა აღარ შეუძლიანთ, თვითონ დაუკლებენ თავის შრომის ფასს, და მდიდარი იაფათ იქერს იმათ. მოხდება ხოლმე ესეც, რომ მდიდარი გამგებ დაუკლებს ფასს: იმან იცის, რომ მუშა ძალიან საჭიროებს ფულში, და მუშაც დაკრეკავს კბილებს და იღებს ამ მცირე ფასს, იმისთვის რომ ის ფიქრობს: თუ მე არ აეიღებ, სხვა აიღებს და მშრალზე დავრჩებიო; თუ სახლობიანი (ცოლ-შვილიანი) პეტრე ვერ გაბედავს დღეში ხუთ შაურათ მუშაობას, რომელსაც იმას აძლევს მდიდარი, მაშინ უცოლ-შვილო ივანე სიხარულით აიღებს ამ ფასს, და ამ გვარათ გამოაცლის პეტრეს ხელიდგან ლუკმა პურს. თუ კაცები არ იმუშაებენ დაბალ ფასათ, მაშინ დედა-კაცები და ბავშვები დაიწყობენ მუშაობას. აი ესრე სჭამენ ერთმანეთს მუშები, ესრე აცლიან ერთმანეთს ხელიდგან სამუშაო', მისთვის, რომ თვითეულს მათგანს უნდა ფული და თვითეული მათგანი მხოლოთ თავისთვინ ზრუნავს. მდიდარსაც ეს უხარიან: იმას რა ენაღვლება, რომ მუშამ, შეეიწროების გამო, თავისი შრომა რაც შეიძლებოდეს იაფათ გაჰყიდოს იმაზე, რაც ის ღირს? მდიდარს უნდა მოგება და აი ამით ის სარგებლობს. ეაჭარი, მეწვრიმანეები და ყველა ამ გვარები, ცდილობენ, რომ მუშაკს სისხლი და ტვინი ამოსწოვონ, უნდათ ის გაყვლიფონ და იმის ხარჯზე იცხოვრონ. აქედგან ის გამოდის, რომ საწყალ მუშა კაცს ყველანი ჭყლეავენ, გადადიან და გადმოდიან იმაზე, როგორც დაბალ ღობეზე.

მაგრამ მხოლოთ უგუნური, უჭკუო უშინდება სიღარიბეს და სტირის, ჭკვიანი კი ეძებს საშუალებას, რომ როგორმე ცხოვრება გაიჩარხოს, და საშუალებებიც არიან: რომლებიც იპოვეს ჭკვიანმა კაცებმა, მაგრამ ჩვენ მხარეში კი არა, არამედ დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში. იქაც, როგორც ჩვენშიაც, არიან მუშა ხალხი და იმათი მდგომარეობა, არამც თუ არ არის უკეთესი, არამედ ბეერში ჯერ-ჯერობით ცუდია, ვინემ რუსეთში და ჩვენშიაც, იმისთვის, რომ იქაურ გლეხებს არა აქვთ მამულები და ამის გამო ისინი დამოკიდებულები არიან იმ მემამულეებზე, ვისთვისაც ისინი მუშაობენ. იქაურ მემამულეებსაც უყვართ სხვის ხელებით ჯიბის გასქელება და ნელ-ნელა დაუკლებს მუშებს ფასი იქნამდისინ, რომ მუშა კაცი დარჩება მშრალზე. ამან დააფიქრა მუშა კაცი იმ კითხვაზე, თუ როგორ და რითი უშველოს უბედურობას და გადირჩინოს თავი ამ შეეიწროებისაგან? მუშებმა სცნეს, რომ მემამულეთ ყოფნა სარფაა, ვინემ მუშაკათ, რომ უნდა მოძებნოს საშუალება, რომ გახდეს მემამულეთ და დაანებოს მუშაკობას თავი, რომ თავის შრომის ნაწარმოებით სხვები არ გაამდიდროს. იპოვნეს საშუალება ადვილი და ამასთანავე ძალიან ძლიერი და სარწმუნო: ეს საშუალება არის საერთოდ გამოღებული ფული. მუშებმა გაიგეს, რომ როცა მუშაობდნენ და მოქმედობდნენ ცალ-ცალკე, ისინი მხოლოთ უნებურათ აცლიდნენ ხელიდგან ერთმანეთს სამუშაო ფასს და ამ სახით ერთმანეთს ლუპავდნენ, როდესაც, რომ თუ ისინი იმუშაებენ ერთად, საერთოდ შეინახვენ ნაშოვარს, მაშინ ისინი გააკეთებენ საეაჭრო და აღებ-მიცემობის ამხანაგობებს, ყველანი ერთ ნაირათ ისარგებლებენ თავისი ნაშუშავარით და არ მისცემენ ნებას სხვას, რომელიც იმათში არ ურევია, რომ იმათი შრომით ჯიბე გაისუქონ. მართლაც და სამძიმოა, კაცი წინა-პირველათ ერწმუნოს იმას, თუ როგორი ძალა და როგორი სიმდიდრე წარმოსდგება ამ გვარი შეერთებით და ამ გვარი ამხანაგობებით. ეს ძალიან ადვილათ შესასრულებელი საქმეა, იშოვა, მაგალითებრ, რომელიმე გლეხმა მანათი, რა უნდა უყოს, რამდენ რასმე იყიდის იმით? მაგრამ თუ რამდენიმე კაცი, რომლებსაც აქვთ ეს მეტი მანეთი, ერთათ შეაგროვებენ, მაშინ სრულებით სხვა საქმე გამოვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვარათ შესდგება რამდენიმე ასი მანეთი,-ეს თანხას შეადგენს, რომელიც შეიძლება ამუშაოს და ისარგებლოს შეერთებით იმითი, რასაც ეს თანხა შესძენს. ამ გვარი თანხით შეიძლება საერთოთ კარგი და ლაზათიანი წისქვილი ააშენოს, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს ერთის მხრივ იმითი, რომ დასაფქვავში ფასს აიღებს სხვებისგან და მეორეთ, რომ თავის ხორბალს უფასოთ დაფქვამს; შეიძლება იმ შეკრებილი ფულის თანხით მიწა იყიდოთ აიღოს და შეაგროვოს საზდო შიმშილის დროსთვინ, ან ის საზდო გაყიდოს მოგებით. ამასთან უნდა ახსოვდეს, რომ არ აჩქარდეს და უცადოს კარგი ფასი როდის დაედება; შეიძლება დუქანი გააღოს, ან პატარა ზავოდი და რამდენიც მოგება გადიდდება, იმდენათ გაადიდოს და მოუმატოს საეაჭროს; მაშინ ენახავთ რა კარგ მდგომარეობაში იქნებიან ამ გვარათ მომქმედნი. ყველა ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთათ ეამუშავებთ ფულს. ერთი მანეთით თითქმის ერთი კაცი ერთ პერანგსაც ვერ შეიკერავს და თუ ამ ერთ მანეთი სხვების მანეთებს შეუერთება, მაშინ ეს ერთი მანეთი სხვა მეტ სამ მანეთს მოუტანს წელიწადში; თუ რამდენიმე მანეთი არის ამ გვარათ შეტანილი, მაშინ, აბა რასაკვრელია, უფრო ბევრ ახალ მანეთებს შესძენს. კარგი ეს არის ამ საქმეში, რომ აქ მუშა კაცი ცოტა ცოტათი ხდება მემამულეთ, შეერთებით აშენებული წისქვილი, ან საზოგადო ფულებით დაიჯარაებული მიწა ეკუთვნის იმათ, როგორც მემამულებს, და სხვებსაც. ვისაც კი მონაწილეობა აქვს ამ საქმეში; მემამულე ერთად იმათთან იღებს წისქვილიდგან შემოსავალს და მოგებას, რომლებითაც სარგებლობის ნებას გარეშე პირს არ აძლევს. პირველათ მხოლოთ ის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ შემთხვევაში მთელი ძალა მდგომარეობს ამხანაგობაში, რომ მხოლოდ ერთად და საერთოდ გამოღებული ფულით შეიძლება ბრძოლა სიღატაკეთან. უნდა მოვიგონოთ ამ შემთხვევაში ერთი ძველებური ზღაპარი, სადაც არის ნათქვამი, როგორ მოერიენენ სპილოს ჭიანჭველები: იყო ერთი სპილო, ჭიანჭველები შეერთგულების ძალით დაეცნენ იმას და, რასაკვრველია, მოერიენენ. სიღარიბე არის ისეთი სპილო, რომელსაც ჩვენ, ჭიანჭველები, მოვერეეთ მხოლოთ მაშინ, როდესაც ვიმოქმედებთ ერთათ შეერთებულის ძალით.

უცხო სახემწიფოებში მუშა ხალხი დაფიქრდა, ჩაკვირდა თავის ცხოვრებას და ნელ-ნელა დაუწყო თავის ფიქრებს აღსრულებაში მოყვანა. დაიწყეს იმათ ერთად კაპიკებით გროვება ფულისა; ეს ფული ამუშავეს და ისეთი საკვირველი შედეგები მიიღეს, რომ მეტი აღარ შეიძლება. უწინ ღარიბემა, ლუკმა პურის უქონლებმა, ეხლა ამ საშუალების შეწევნით, გადასჭიმეს მშვენიერთა-მშვენიერი სახლები, მაღაზიები, დუქნები, ასე განინჯეთ თეთრები და შკოლებიცა; ამხანაგობეების დამფუძნებლებმა, არამც თუ დაიკმაყოფილეს უმთავრესი ბუნებითი მოთხოვნილებეები, არამედ გახდნენ ფრიად მდიერები, როდესაც რომ უწინ იმათ ერეოდნენ ყველა უბედურობები სიღატაკისა და ცხოვრებდნენ ჩვენ მუშა ხალხზე უფრო საძაგლად, კინაღამ შიმშილით არ იხოცებოდნენ.

ჩვენ აქ მოკლეთ მოვიხსენიებთ, როგორ გამართეს ეს ჩინებული საქმე ნემენცებმა, ინგლისელებმა და ფრანცუზებმა; ეს ძალიან ცნობის მოყვარე საქმეა და არ იქნემა ურიგო, რომ ჩვენ იმათგან ჭკუა ვისწავლოთ, რადგან ჩვენსას არ უჯერებთ. აი როგორ იყო საქმე:

1843 წელსა, ინგლისის პატარა ქალაქ როჩდელში შეერთდნენ ერთად რამდენიმე ღარიბი ფლანელის მქსოველები იმ მიზნით, რომ გაეუმჯობესებინათ თავიანთი მდგომარეობა. რის ვაი-ვაგლახით შეაგროვეს ექვსექვსი შაური კვირაში საზოგადო დუქნის გასამართავათ. ვიცით, რომ მქსოველები, აგრეთვე ყველა ფაბრიკის მუშები ეზიდებიან საზდოს დუქნებიდგან ნისიათ, ამასთან, რასაკვრველია, მდიდარი მედუქნე იღებს სამჯერ მეტს ფულს იმაზე, რაც ღირს საზდო და არც ხეირიანს აძლევს. მომეტებული ნაწილი ნაშრომი ფულისა მეფაბრიკეებიდგან მიდის ამ გვარ დუქნებში, როდესაც რომ, საკუთარი დუქანი რომ ჰქონდეთ და იყიდონ საჭმელ-სასმელი თავიანთვეე დუქნიდგან, ისინი ორჯერ ან სამჯერ ნაკლებ ფულს დახარჯამენ თავის გამოსაკვებათ და, რასაკვრელია, ფულებიც ორჯერ მომეტებული დარჩებათ. აი სწორეთ ამ გვარი დუქანი გამართეს თავიანთთვინ როჩდელურმა მქსოველებმა. წინა პირველათ იმათ ყველანი დასცინოდნენ, არა სჯეროდათ, რომ ისინი კარგათ წაიყვანდნენ საქმეს, მაგრამ მქსოველებმა თავისი არ დაშალეს და შემდეგ წელში გააღეს პატარა დუქანი, სადაც საჭმელ-სასმელის მასალები ისყიდებოდა, და ამასთანავე ძალიან იაფი ფასი დაადეს, ვინემ სხვა დუქნებში. რასაკვირველია ხალხი ეცა გაცხარებული და დაუწყო ყიდვა იაფ და ახალ-ახალ საქონელს: ეაჭრობა ძალიან გაჩაღდა და იმ წლის დამლევში დუქანის დამფუძნებლებმა, არამც თუ თავი იაფათ გამოიკვებეს, მიიღეს კიდევ დიდი მოგება. რაკი მოგება გაუდიდდათ, მაშინ მქოველებს შეეძლოთ უფრო გეედიდებინათ ფულის შეტანა საერთოდ და ამ სახით გაევრცელებინათ თავიანთი ეაჭრობა. იმათ ასე ჰქნეს. 1845 წ. იმ ამხანაგობაში ითვლებოდა სამოცდათოთხმეტი კაცი და ცოტა ოდენი თანხაც. შემდეგში იმისი საქმე ახირებულათ კარგათ წავიდა, სწორეთ რომ მთათ იქცა იმათი ეაჭრობა და მოგება, ასე რომ მთელ მხარეს უკვირდა ის, რომ როგორ ჩქარა აიწია იმათმა საქმემაო. ამ მქსოველებისაგან გამართულ დუქნიდგან ყველა ამხანაგობის წევრები (ფულის შემტანლები) ყოველთვინ იღებდნენ ერთნაირი დაბალი ფასით ნოყიერ და ახალ-ახალ სასაზდოებელს და წლის დასასრულში მოგებას ყველანი შუა იყოფდნენ. რამდენიმე ხანის შემდეგ ამ გვარი დუქნები რამდენიმე გაიხსნა სხვა და სხვა ქალაქების ნაწილებში.

ამ დუქნებში ეაჭრობდნენ მოჯამაგირე პრიკაშჩიკები, რომლებიც ისეთი კარგათ ამოირჩიეს, რომ ამხანაგობამ არა ვითარი ენება არ დაითმინა იმათგან. ნელ-ნელა გაადიდა თავისი საეაჭრო ამხანაგობამ, მერე გააღო დუ

ქანი, რომელშიაც ყიდდნენ წითელს საქონელს და რომლიდგანაც ამხანაგობის წევრები ყიდულობდნენ იაფ ფასათ და იკერავდნენ ძალიან კარგ, მაგარ ტანისამოსს. შემდეგში გააღეს ბაშმაკების და სხვა ამ ნაირები. საქონელი ამ დუქნებში პირდაპირ იყიდებოდა, ესე იგი, სხვის ხელში არ გადადიოდა და ამისათვის ძალიან იაფათ იყო, ვინემ სხვა დუქნებში; ამის გამო მყიდველები ბლომათ იყენენ და მოგება ამხანაგობისა ძალიან წინ მიიწევდა. იმოდენა ფული მოიგეს, რომ ამხანაგებმა მალე გააკეთეს ორთქლის გუთანი და ბოლოს ქაღალდის საკეთებელი ქარხანა გამართეს. ეხლა ის ფულის ერთად შემტანნი-ამხანაგები კარგათ გამდიდრებულები არიან, აქვთ ბევრი მდიდარი მაღაზიები და დუქნები, აქვთ თავიანთი შკოლები და წიგნის საკითხავი ალაგები. საქმე კი, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, დაიწყეს ექვს-ექვსი შაურის გამოღებით, და რამდენი მე წლის წინათ, ვინემ ამ სასარგებლო საქმე შეუდგებოდნენ, ესენი იყვნენ ღარიბი მუშები, რომლებსაც საჭმელ-სასმელიც არა ჰქონდათ. აი როგორი შედეგები აქვს, როგორი საქმეების გაკეთება შეუძლიან საერთოდ ფულის გამოღებას და პატიოსან ამხანაგობას! მართალია, ინგლისიის მუშებს ჰყვანდათ ძალიან კარგი ხელთ-მძღვანელი-მასწავლებელი, სახელად რობერტ ოვენი, რომელმაც თავისი კეთილის რჩევით ბევრი უშველა, ბევრი რამ კარგი შესძინა, იმათ ამითი ისარგებლეს და თავიანთი ცხოვრება გაილაზათიანეს; ისიც მართალია, რომ ჩვენ ქართველობას იმისთანა ოვენები ჯერეთ ერთიც არა გვყავს; მაგრამ ის უნდა მოიგონოთ, რომ იქ ამისთანა საქმე პირველათ დაიწყეს და სრულებით ახალი იყო, ეხლა კი მაგალითი ნაჩვენები აქვთ და გზაც გაკვლეულია, გვაკლია მხოლოთ მოფიქრება და საქმის ხელის მოკიდვა, და პატიოსანი კაცები, ღვთით, გამოჩნდებიან!

სწორეთ ამნაირათვე საფრანგეთში, ქალაქ ლილლში, შესდგა საწყალი ხალხისაგან საზოგადოება «კაცთ მოყვარეობის.» თვითეულულ ამ საზოგადოების მონაწილეთაგანს შეაქეს საზოგადო კასსაში ერთი შაური კვირაში. ამ გვარათ მოგროვილი ფულებით ისინი თოფობით ყიდულობენ ყველა საქონელს, რომლებიც კი საჭირონი არიან ცხოვრების თვინ; რადგანაც თოფობით ყველა ფერის ყიდვა იაფათ შეიძლება და უკეთესიც იქნება, ამისათვის ისინი საერთოდ გამოღებული ფულით ძალიან სარგებლობენ. ამ გვარი დაწყობილობით ამ «კაცთ მოყვარეობის» საზოგადოებამ გვარიანი თანხა შეაყენა და ამ თანხით საზოგადოებამ ჩქარა შეიძლო თავისი საკუთარი საყასბო დუქანის გიღება, რომელმაც იმას ძალიან დიდი სარფა მისცა. ერთი სიტყვით, საქმე ისე კარგათ და ლაზათიანათ წავიდა, რომ ორი წლის განმავლობაში რიცხვი მონაწილეებისა ავიდა ათას ხუთას ორმოცდა ერთ კაცამდინ, თანხა საზოგადოებისა ავიდა ორას ათას მანეთამდინ. აი რამოდენი რიცხვი შესდგა ფულის შაურობით შეგროვებითა! მიზეზი ამისი არის ისა, რომ ხალხმა გაპედა საერთოდ ყიდვა საზღოსი.

ძალიან დიდი სარფა ნახეს აგრეთვე საფრანგეთის კალატოზებმა, რომლებმაც შეადგინეს საერთოდ მცირე საზოგადო თანხა და მუშაკობდნენ საერთოდ უუფროსოთ იმ მიზნით, რომ ყველა საერთოდ მოპოვებული ფული შეინახონ და იხმარონ საზოგადო გასაუმჯობესებლად და სიმდიდრის შესაძენათ. წინა პირველათ ეს კალატოზები იყვნენ სულ ჩვიდმეტი კაცი, რომლებმაც საერთოდ შეაყენეს თანხა ათ თუმნამდინ და ამ მცირე თანხით დაიწყეს იმათ თავიანთი კეთილ გონიერი და საქები საქმე. სამუშაო იყო ძალიან ბევრი, იმისთვის რომ იმათ უფროსი არა ჰყვანდათ და სამუშაოს იაფათ იღებდნენ. შემდეგ იმათ სხვებიც (ამათში მდიდრებიც) მიიღეს და ამ გვარათ იმათი თანხა ისე ძალიან გადიდდა, რომ რომელიმე კალატოზმა, ესთქვათ წრეულ, რომ მოინდომოს გამოსელა ამხანაგობიდან და ცალკე იცხოვროს, — მიიღებს საზოგადო ფულიდგან უკანასკნელი ექვსას თუმნამდინ თავის წილათ.

კალატოზების გარდა, საფრანგეთში გაიხსნა სხვა და სხვა პატარა საზოგადოებები (ამქრები, არტელი): მაგალითებრ, დურგლებისა, მხერხავებისა და სხ. შემდგომ სხვა და სხვა გერმანიის ქალაქებში შესდგნენ ამხანაგობები მესაფარცხლეებისა, სიგარის (პაპიროსის გვარი საწევი) მკეთებლებისა და სხ. ნემენცურ ქალაქში მაინცში შემდგარია იმისთანა ამქრობა (ამხანაგობა) ბაშმაკების მკერავებისა, რომლებიც ერთად მუშაობენ და ისე იაფ ფასათ ყიდულობენ ტყავებს, რომ შეუძლიანთ გაგზავნა თავიანთი საქონლისა გასასყიდლათ რუსეთში, შვეიციაში და — ასე გაშინჯეთ ამერიკაშიც, რომელიც იმათზე ძალიან შორს არი. ყველა ამ საზოგადოებებში მონაწილე ამხანაგები ერთსა და იმავე დროში მუშებიც არიან და ვაჭრებიცა. ყველამ იმათგანმა გაიგეს, რომ უფრო სარფა ექნებათ მიჰყიდონ თავიანთი ნამუშავარი უბრალო, ჩვეულებრივ მყიდველებს, ვინემ ვაჭრებს, ექნებათ სარფა იმითვის, რომ ყველა მოგებები, რომლებსაც სოდაგარი იღებს საქონლიდგან მთლად მიდიან თითონ მუშების ხელებში და უფრო უხვად საჩუქრდება იმათი შრომა.

საჭიროთ ვრაცხთ აქ მოვილაპარაკოთ იმ ამხანაგობაზე, რომელიც არის შემდგარი ღარიბი ხალხისთვის. ვიცით, რომ მაშინით უფრო კარგა, ძალიან ჩქარა კეთდება საქმე და დიდი სარფაც აქვს, ვინემ ხელითა; ხალხმა დაინახა ცხადათ ეს სარფა და მისცეს რამდენიმე მუშა კაცებმა პირი პირსა, გამოიღეს ფული რამდენიმე სამუშაო მაშინების სასყიდელათ. ფულის შეგროვება კარგა წავიდა და მუშებმა ქალაქ ბრესლაველში გააღეს მაუდის ფაბრიკა (ქარხანა). წინაპირველათ (1816 წელს) მუშა-ამხანაგებმა შეგროვებულის ფულით ააშენეს უხეირო ფაბრიკა მაუდის გამოსაყვანათ, მაგრამ როდესაც ეს პატარა და უხეირო ფაბრიკა დაიწვა, მაშინ განიზრახეს, 1848 წელსა, კარგი და მკვიდრი მაუდის ფაბრიკის აშენება კარგის მაშინებით, რომლების ღირეულობა შეადგენდა 120,000 მანეთს (ასოცდა ათასი მანეთი). ამ ამხანაგობას იმ დროს ჰქონდა ხელში სულ ხუთი ათასი მანეთი, სხვა ფულები იმათ, თავის განზრახვის აღსასრულებლათ, უნდა რასაკვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველია, ესესხნათ; მაგრამ საზოგადოება ისე თანაუგრძნობდა ამ მუშა-ამხანაგებს, რომ მალე უშოვეს იმდენი ფული, რაცკი საჭირო იყო იმათთვის ფაბრიკის გასამართავათ. 1863 წელს ამხანაგობის საქონელი ღირდა ორასი ათასი ტალერი (ტალერი თითქმის ჩვენებურ ერთ მანეთს უდრის). მოგება ამხანაგობისა შეადგენდა ასი ათას მანეთს. ეს მოგება გაიყვეს ოცდა თოთხმეტმა ამხანაგმა. ეს ამხანაგობა ერთად სარგებლობდა მხოლოთ მაშინებით, საქონელს კი თვითეული ამხანაგთაგანი ჰყიდდა ცალ-ცალკე თავისთვის. უეჭველია საქმე ამხანაგობისა უფრო კარგა წავიდოდა, უკეთუ მასალასაც მაუდის გამოსაყვანათ ამხანაგები ერთობით იყიდდნენ.

კი ერთი კი არის ამ გვარი საზოგადოებეები დასავლეთ ევროპაში და მხოლოთ ერთმაათასმა კაცმა კი არ ჰპოვა ნუგეში ამ საზოგადოებეებში, არამედ რამდენიმე ათასმა კაცმა; პირველათ ღარიბებმა გამოიყვანეს თავი ღონე გამოლებული სიღარიბისგან და თავის შევიწროებული მდგომარეობიდგან. ჩვენ ქვეყანაში კი ჯერ ყურზე სძინავთ და იმისთვისაც არიან სიღარიბეში ყელამდინ ჩაფლულნი. ამ გვარი საზოგადოებეები ჯერ, არამც თუ ჩვენში, რუსებშიც არ არის ხეირიანად გავრცელებული. ეს ამხანაგობეები საზღვარ გარეთა ქვეყნებში განიყოფებიან ორ ნაწილათ: ამხანაგობა მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ე ლ ი, როდესაც ამხნაგები შეაგროვებენ საერთოდ ფულს, რომ ამ შეგროვებული ფულით რაც შეიძლება იაფ ფასათ იყიდონ ყველა საზდო, და ამხანაგობეები მ წ ა რ მ ო ბ ე ლ ნ ი. ამ ამხანაგობეების წევრები მუშაობენ ერთად შეერთებულის ძალით და ჰყიდიან ნამუშევარს საერთოდ, მუშაობენ ამ გვარათ იმიტომ, რომ თითონვე თავიანთის ნაწარმოებით ისარგებლონ და არ გაისქელონ ჯიბე სოვდაგრებმა (ვაჭრებმა) იმათი ნაწარმოებულიდგან ორთავე. ზემო ხსენებული საზოგადოებეები შხირათ გადიქცევიან ხოლმე მწარმოებელ ამხანაგობებათ, ესე იგი, წინა პირველათ შეერთებულის ფულით აგროვებენ სასაზდოებელ მასალებს, შემდეგ კი შეერთებით იწყობენ მუშაობას და ვაჭრობას. მომხმარებელი ამხანაგობეები ადვილათ წესდებიან, ამის გამო ისინი ბევრნიც არიან საზღვარ გარეშე ქვეყნებში.

ამ გვარათ ვაჭრობის დროს ამხანაგებს რჩებათ ჯიბეში ის ფულები, რომლებიც ამათი ხელიდგან გადადიოდა ვაჭრების ხელში. ვაჭარი, ჩარჩი კაცი მიდის ზაფხულში, კალოს დროს, სოფლათ იკვეთამს პურს იაფათ საწყალი გლეხი კაცისაგან. ამ გვარათ იაფათ ნაყიდ პურს მიჰყიდის სხვას მოგებით: ეს კიდევ სხვას მიჰყიდის ვისმეს და ამ სახით ერთი ხელიდგან მეორეში გადასვლაში ფასიც ემატება. მედუქნე ვაჭარი ყიდულობს პურს უფრო ძვირათ; ამას აქვს დუქანი, ამაში აძლევს ქირას, ვისაც ეკუთვნის; ამის გარდა ამას ბევრი სხვა გარდასახადები აწევს კისერზე; ამასთანავე იმან უნდა დაიჭიროს პურის მცხობლები. რასაკვრელია, ყველა ამ გასავლებს მედუქნე ცდილობს, რომ დაიბრუნოს ვაჭრობაში და ისე დაიბრუნოს, რომ ქირასაც მოგება ბევრი დარჩეს. ეს საქონელი ერთი ხელიდგან მეორე ხელში გადასვლით ძვირდება. ახლა ჩვენთვის ვიფიქროთ, რამდენ მომეტებულ ფულს აძლევს მყიდველი მედუქნეს ცუდ საქონელში? გამოდის, რომ ერთ ფუთ პურში, რომელიც სოფლათ, ვსთქვათ, ღირს ათი შაური, უნდა ქალაქში მისცე მანეთი, ესე იგი, ორჯერ მეტი იმაზე, რაც ღირს: რასაკვირველია ღარიბმა მოქალაქემ უნდა ორჯერ მეტი იმუშაოს, რომ თავი გამოიკვებოს. ამ სახით ერთი კაცი მდიდრდება, ერთი კაცის ხელში მიდის მთელი საზოგადოების ფული. რასაკვირველია, კარგი იქნება რომ სხვა ქვეყნების წაბაძვით, ჩვენშიაც გამართონ ფაბრიკები, რომ თავიანთი ფული, ისევ თვითონვე დაუბრუნდეთ, და არა ერთი კაცის ხელში მიდიოდეს. საქმე ძალიან უბრალოა: უნდა კარგი სანდო ამხანაგები შეიკრიბნონ და შეაგროვონ ფული საერთოდ ორ-ორი შაური კვირაში. თუ იშოვნება ორმოცდა ათი ამხანაგი, მაშინ კვირაში უზანთუნობის შეკრეფით შესდგება ხუთი მანეთი — თვეში ორი თუმანი; იმ ფულებით შეიძლება იყიდონ ორმოც ფუთამდე ფქვილი, აქედგან სამოც ფუთამდე პური გამოაცხოს, შემდეგ, თუ გირვანქა, ვსთქვათ სულ დაბალი ფასი, კაპეიკ ნახევრათ გაიყიდება, შესდგება ოცდა თექვსმეტი მანეთი და მაშასადამე თექვსმეტ მანეთს მოგებას აიღებს და თუ ასი ამხანაგი იქნება, კვირაში თითო კაცი აბაზს შეიტანს მაშინ თვის მოგება შეადგენს სამოცდა ათს მანეთს. იყიდე მერე ამ ფულით საკლავი საქონელი და დაჰყიდეთ ხორცი იაფათ, რომ მუშტარი ბლომათ მოვიდეს,-საქონელი მალე გაიყიდება და ძირსაც ლაზათიანი მოგება დარჩება. ესრეთ სამი ოთხი თვის შემდეგ შეიძლება დუქანიც გაალოს რისამე და იაფათ დაუწყოს საქონლის ყიდვა; სარფა ამხანაგებისთვის ის იქნება, რომ ისინი თავიანთი დუქნიდგან ყველა ფერს იაფად იყიდიან; შემდეგში მოგება ძალიან გადიდდება და გაიყოფენ ზოგს შუა, და რაც დარჩება ამუშავებენ. ორშაურის მაგივრათ მაშინ ოც და ორმოც თუმანს ჩაიჩხრიალებენ ჯიბეში. აი ასეთი დიდი სარგებლობა აქვსთ საერთოდ გამოღებულ ფულებს; ამან გამოიყვანა რამდენიმე ათასი სახლი სიღარიბიდგან; ვეცადოთ, ასრე ჩვენც სიღარიბის მოშორებას.

მკითხავების ექიმობა იმერეთში

მკითხავები ანუ მარჩიელები, როგორც აქ ეძახიან ზოგიერთები, და მათი კუდიანობა თითქმის ყოველ გაუნათლებელ ქვეყნებში გამრავლებული არის. მაგრამ ისინი არსად არ მინახავს ისე კარგ პატივ-ცემაში, როგორც იმერეთში. მე აგიწერთ ამ სახით ერთს პატარა იმერეთის სოფელს, ნ—ას, და რასაც ამ სოფელზე ვიტყვი, შეიძლება ყველა იმერეთის სოფლებზე ითქვას.

თუმცა მღვდელი და სხვა ნასწავლი პირები მოიძებნებიან ამ პატარა სოფელში ერთი ათიოდე, მაგრამ ესენი სხვაზედ ნაკლებად არ ერწმუნებიან მკითხავებსა. საწყლები, ამ სწავლულების მაყურებელნი, გლეხები უფრო ტყუვდებიან და ზარალში ჩადიან. «როგორიც მღვდელი, ისეთიც ერიო», ნათქვამია. აი ამ

ნაირად არის საწყალი, გაუნათლებელი და უგუნური გლეხების საქმე: რასაც მღვდლები, და წერა-კითხვის მცოდნე კაცები მაგალითს უჩვენებენ და რა საქმეებშიაც ჩადიან, ისე იქცევიან გლეხებიც. თითქმის არ არის ამ სოფელში ერთი იმისთანა კაცი, რომელიც არ ერწმუნებოდეს მკითხავებს და თუ მეტჯერ არა, ხუთჯერ-ექვსჯერ არ მოტყუებულიყოს მათგან. ამისათვის აქ მარჩიელები დიდ პატივცემაში არიან. გახდება თუ არა ვინმე ავად, მაშინათვე ცხენს მიართმევენ იმას და ისე მოიყვანენ ავადმყოფთან, რომელსაც ჯერ მაჯას გაუშინჯავს და მერე თავის ქნევით ეშმაკურად იტყვის: «ძალიან კარგ დროს კი მომიყვანეთ; მაგან თუ ახლავე წამალი არ მიიღო, მერე ტყუილად ნუღარ შრომობთ.» ავადმყოფის პატრონი მაშინათვე ვაჭრობას დაუწყებს ექიმს და ოცი მანეთი რომ სთხოვოს, უნდა მისცეს. ექიმი ჯიბეში ჩაიდებს ფულებს, ორ-სამ სტაქან სამკურნალო წამალს გაუკეთებს; რაღაცა ლოცვას წაიბუტბუტებს და სახლისკენ გასწევს. მეორე და მესამე დღე'საც ამ ნაირად უწამლებს; ავადმყოფის მორჩენა კი ღმერთზედა ჰკიდია!

ამისთანა მატყუარა მარჩილები მე ოცამდე ვიცი; მათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი არიან ორი ბებრუხანაები, რომლებსაც, ხალხის ფიქრით, რაც უნდა ავადმყოფი იყოს, მოურჩენელი არ გადაურჩებათ. თუ გინდათ რომ ამათ აკითხვინოთ, უნდა მიუტანოთ ერთი დოქი ღვინო, ერთი ქათამი და ხელფასი არა ნაკლებ სამი აბაზისა. როცა მიიღებს მიტანილ ძღვენს, გამოგკითხავს—რისთვის მისულხარო და შემდგომ დაიწყებს ჩხრევას: მოიტანს ლობიოს მარცვლებს; ჯერ დაიწყებს რაღაცა ლოცვას, მემრე მაღლა აყრის მარცვლებს, დააჩერდება მიწაზე, თითქო რაღაცას ჰკითხულობდეს—და მოყვება რასაც მოახერხებს. თუ რაიმე დაკარგვის თაობაზედ არჩევინეთ, მაშინ იტყვის, რომ ის ნივთი აქვს ისევ შენს სახლში მყოფსაო, რომელსაც დაუხედავენ და თუ რამე, დაკარგულის მზგავსი, უნახეს, წაართმევენ; თუ ავადმყოფისთვის არჩევიეთ, მაშინ ან იტყვის წყლიდამ ამოყოლია რაღაცაო და ან დაუწყევლია ვიღაცასაო. თუ გინდა რომ მორჩეს, ერთი ცხვარი და ერთი გოჭი დაუკალი, მღვდელს აწირვინე და მორჩებაო. იქნება ამისათვის უფრო უყვარს მარჩიელები ზოგიერთებს. . . თუ მორჩა ავადმყოფი, ხომ კარგი, თუ არა და ისევ მირბიან ექიმთან, რომელიც ეტყვის: «რას მომცემ, მე რომ მოვარჩინო ის ავადმყოფიო?» აქ წამალში სამი ან ოთხი მანეთი მაინც დაეხარჯება, ცხვარი და ღორი უკანასკნელი სამი მანეთი მაინც ულირდა; ეს ექვსი-შვიდი მანეთი, დრო'ს გარდა, ტყუილა უბრალოთ დაეკარგება და ავადმყოფს კი, რასაკვირველია, არარას არგებს...

როგორც ზევით ვ'თქვი, სოფ. ნ—ას არ არის ერთი იმისთანა კაცი, რომელიც არ ერწმუნებოდეს მკითხავებს, განსაკუთრებით—სამი-ოთხი კაცია, რომლებიც ისე უჯერებენ და იმნაირად უყვარსთ მარჩიელები, რომ თუ ვინმემ გააჯავრა ისინი, ვსთქვათ ან ფული არ მისცა და საჩივლელად გაგზავნა, ან სხვა რაიმე, მაშინ ესენი გამოიდებენ თავს და მარჩიელებს მაინც გაამართლებენ: «ავადმყოფი თუ არ მორჩა, ეს ღვთის ნება არისო, იტყვიან; მაგ ხომ თავის შრომას ვერ დაკარგავს?! თუ არ გინდოდა მაგისი წამალი, რაღათ მოიყვანე პირველად; მაგის მეტი ავადმყოფისთვის არ უწამლებია მაგას, თუ როგორ გგონიაო?» ამ ნაირად დასტუქსავენ საწყალს გლეხებს ეს მარჩილების ადვოკატები და ფულებს მიაცემინებენ ექიმისათვის, რომელიც ცოტას თავის შემწესაც არგებს. სადაც უნდა მოხდეს ეს საქმე, იქ გაჩნდებიან ე'ს სამი-ოთხი კაცი.

მე ერთხელ სოფელში ვიყავი; მახსოვს მარიამობის თვე იყო. სადილის შემდეგ, მინდორში დავწევი და ისე დამძინებოდა, რომ დაღამებამდი არა გამიგიარა. შუა ძილში რო ვიყავი, რაღაცასაგან შეშინებულმა ცხენმა ისე ახლოს ჩამირბინა გვერდით, რომ კინაღამ თავზე დამეცა; მომესმა ყურში თუ არა ცხენის ფეხების ხმა, მე შეშინებული წამოვხტი და სახლისკენ გავიქეცი. თურმე ჩემ ძილის დროს ცოტა წვიმა მოსულიყო; დამიცდა ფეხი დასველებულ ბალახზე და ისეთი დავეცი, რომ ძლივს წამოვდექი და სახლში მივედი. მეორე დღეს ავათ გავხდი და მთელი დღე არა მიჭამია რა და არც კაცს დაველაპარაკებივარ. გათენდა თუ არა, მაშინათვე ცხენით გაგზავნეს კაცი ერთ სახელგანთქმულ მარჩილთან. მე ვიცოდი კარგათ, რომ ის ვერ მომარჩენდა, მიგრამ მაინც არ ვეწინაალმდეგე მის მოყვანას, რადგანაც მსურდა გამომეცადა იმათი ექიმობაც. შემოვიდა თუ არა ჩვენს ეზოში, მე მაშინათვე დავწევი. ცოტა ხანს შემდეგ ერთმა დამჭკნარმა დედაბერმა შემოაღო ჩემი ოთახის კარები, მოვიდა ჩემთან, მაჯა გამისინჯა, ენა გამომაწევინა და მერმე მკითხა:

—რაი გტკივა, ბებია?

—ვერა ვგრძნობ, რა მტკივა და, თუ შეიძლება, მარჩიელი თქვენა ბრძანდებით, მითხარით, რითა ვარ ავათ? ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო იმან ლაპარაკი:

—აგი ბოვში ავათაა ძანიალი, მარა ნუ გეშინია, ამისთანა ავათმყოფიზა ვორ ნაირი წამალი მაქ, იგი მოუხდება ძანიალს.

—რით ვარ ავათ, თუ შემატყვე? ვკითხე მე.

—ამ ბოვშს (მომკიდა მაჯაზედ ხელი) წყალზედ უბანია და უქმური ამოყოლია, ახლევე წემალს გაუკეთეფ, მარამ რამდონს მომართმევ მაგის მორჩენაზეთ?

—ოღონ კი მომარჩინე და ფული რამდენიც გინდა, მიიღებ, უთხარი მე.

—გოგიელეის ბოვში რო მოვარჩინე, ერთ ლაგინე (პატარა დოქი) წემალში ათი აბაზი ევიღე. ღმერთმა მამა თქვენი აცხონა, კაი პატივს მცემდა და ტყულათეც რომ გაგიკეთო წამალი, არ დემეკარგება თქვენზენ, მარამ მუმიათ მაქ ნაყიდი აგი წემალი.

—ოღონდ მომარჩინე, ხმა მაღლა უთხარი მე, და ორ მანეთზე მეტიც წაიღე.

ჯერე პეტერე ლოცვა მოგიხტება, მერეთ—წემალს დაგიტოვეფ გაკეთებულს. დაიწყო ტუჩების ცმაცური და რას ამბობდა, ვერ გავიგე. ეს ერთი ლოცვა კი დიდის ხვეწნით წარმოვათქმევინე მაღლა:

«მოგიდოდა შავი კაცი შავ ცხენზე შავი კიდებიანი, შავი დაგამი—უნაგირით, შავი ჩოსითი და ეობლანითა მეტინოდა, აღჭესდა ბიდებს. მეკიდა წმინდა თაკარ ანგელოზი ეგრეთე და მოტიქუდები რაფალი, ხაშოსალი, რასალი, სამს სამოცდა ჩეთი წმინდა გიორგიმ შეეგირა იმ კაცს: სა მისვალო, შენ შავ კბიდებიანო, შავ ცხენზე შავი ტანისამოსითო?—მივდივარო ვობლის ასტირებლათო, სნეულის შესაწესებლათო, მდიდარის დასაღარიბებლათო, ქალის რძეის წასახთენელათო! —ვერ წახვალო, უკან დაბრუნდი მალეო, შავო კაცო შავ კბიდებიანოვო, თვარა დაგწვავ, შავი დანეთ დაგვლავო, შავ წყალში ჩაგაგდეფო. წეკიდა შავი კაცი, შავ კბიდებიანი, ეკარ გაბედა კაცის შეწესება. დმერთო, ესე დეისნი ავი ბოგში ამ უფერისაგან!»

ეს ლოცვა ისე ჩქარა წაიბუტბუტა, რომ სანამ სამჯერ არ ვათქმეინე, ვერა გავიგერა. რამდენი ამისთანაები ილაპარაკა, მაგრამ მე ვერც ამ ლოცვის თქმაში მოვიკავე სიცილი, სპბანი დავიხურე პირზედ და მეორე გვერდზედ გადავბრუნდი. ლოცვის შემდეგ მოიტანა გეიმბრის და ანწლის ძირი, თუთის და ეამლის ტყავი, იას ფოთოლი, ჯამზედ დანაყა, წყალ ში ამოაევლო, წყალი გათბო, ცოტა ლილა და შაბი გაურია და ესე შეზავებული წამალი თითქმის ძალათი დამალევინეს მთელი სტაქანი. მაშინათვე, უკაცრავად ამ სიტყვაზე, პირიდამ მასაქმებინა და კინალამ საიქიოს არ წავედი; მაგრამ ექიმმა კი სიხარულით სთქვა: «ახლა მორჩა ავი ბოეში სტორეთ, ეშმაკი ამოვაგდებინე პირიდამო!» როგორც იქნა, ღეთის შეწეენით, გადაურჩი ამ საწამლაეს. მეორე და მესამე დღისთვინაც ამ ნაირად გაკეთებული წამალი დამიტოეა; მაგრამ მე ჩუმათ ვაქცევედი იმას და ამ ნაირად ვატყუებდი ორ დღეს ექიმს. მესამე დღეს მოვიდა და ცოტა ლოცვა კიდეე წამიკითხა, მაგრამ საღ არის მორჩენა? გაეიდა რეა დღე. ვერ მიმარჩინა ვერც ერთმა მარჩიელმა. ამის შემდეგ ექიმები სიახლოეესაც აღარ მიეკარე და რეა დღეს კიდეე ეიყავი ავათ, მერე კი ჩემით მოერჩი. გაიგეს თუ არა ჩემი კარგათ ყოფნა, ექიმები მოვიდნენ და ფულების თხოვა დამიწყეს; მე არ მინდოდა ფული მიმეცა, მაგრამ მოვიდა ერთი მღედელი და ორი სხვა ექიმების ადეოკატი და დამიწყეს ხეეწნა: «ცოტა რამე მაინც აჩუქე, სირცხვილია; თუ არ გინდოდა მისი წამალი, რასთვის მოიყვანე პირველადო.» მე მიეეცი ორორი მანეთი თითოსა და გაუშვი.

აი ამ ნაირად ატყუებენ და აღარიბებენ მარჩიელები და სოფლის ექიმები სოფლის მცხოერებლებსა!

თ ბ—ი.

1872 წ. აპრილის 20-ს.
ქუთაისი

მკითხველების ექიმობა

«დროება» № 14

ამ წლის იანვრის 14 დღესა, როდესაც მე შინ არ გახლდით, ავათ გამხდომოდა ცხრა თვის ყმაწვილი ასე, რომ სრულებით გრძნობა დაეკარგნა, მასთან მოძრაობა და სუნთქვა სრულებით აღარ უჩანდა. ეს რომ დედაჩემს უნახავს, საშინლათ შეშინებია, ყმაწვილი უპატრონობით და უზიარებლად არ მომკედესო; ამის მეტი ეეღარა მოუგონია. რა, ყმაწვილისთვის უსხამს წყალი და უგლეჯია თმა და ყურები, მაგრამ მაინც ვერ მიუბრუნებია. ამ წიეილ-კიეილში მოგროვილან დედაკაცები, და ზოგს უთქვამს ანთება მოსცლიაო და ზოგს, უფრო მამეტებულს, ბნედა მოსცლიაო. უსწავლებიათ, კუკიის ხიდთან ერთი დედაკაცი სდგას, რომელიც მაგისთანა ავათმყოფობას კარგათ არჩენსო.

როგორც მოგეხსენებათ დედაკაცისაგან, ფაცხა-ფუცხით გაჭრილა მკითხავ ოსანასთან და შეუჩეელია ყმაწვილის ავათმყოფობა: თუ რამ იცი, გვიშველეო.

ოსანას გადმოუღია რაღაც დაეთარი და თაეისებურათ უტუტუნია რაღაებიც. ამის შემდეგ უთქვამს: «ოჰ, რა მალხაზი ყმაწვილი ყოფილაო, ეს ბავშვი სხვაგანა გყოლიათ ღამე და წამოყვანის დროს ა ვ ქ ა რ ს დაუკრავს წინიდგანაო... უკეთუ ზურგიდგან ჰქონდეს, მე იმის მორჩენას ეეღარ შეეიძლებიო; ფიქრი ნუ გაქვს, ორ კვირას განვათავისუფლებ იმ სენიდგანაო».

დედაჩემს სიხარულით შინ მოუყვანია ეს დედაკაცი და უჩვენებია ყმაწვილი; ამ ფლიდს თავი გადაუგდია და გადმოუგდია:—ოჰ! ოჰ, რა ძალიან მოსცლიია! აფსუს ყმაწვილო, უდროოთ წამხდარხარ! მე თუ ამას მალე არ უწამლე, გაუცხოელდება და დიდობამდინ შეჰყვებაო. ეხლა მამეცი სამი მანეთი და ეთი უნიშნო ქათამი; სამი მანეთის მუშკი უნდა ეიყიდო, ქათმის სისხლში უნდა გაელესო, შეულოცო და ქაღალდზედ ისე დაეწერო, რომ ყმაწვილს ასეა ხოლმეო.

დედაჩემს სამი მანეთი და დედალი სიხარულით მიუცია. საღამოს ამ დედა-კაცს ერთი წიგნი იღლიაში ამოეჩარა და ისე მოსულიყო ჩვენსა. ამ დროს მეც მიეელი შინ და დედაჩემმაც შემატყობინა ეს ამბავი.

ოსანამ რომ დამინახა, როგორღაც არ ეეჭაშნიკა. მე ამ დედაკაცს კარგა ხანი უცქეროდი ისე, როგორათაც ფლიდს და მატყუარს. რო ეეღარ მოეითმინე, ხმა-დაბლათ უთხარი: ყეელა კარგი, ფული-ფული იყო, მაგრამ დედალი რაღასათვის გინდოდა, მეთქი. ამის პასუხი ეს მითხრა: «იცი, შეიღლო! ფულისა მუშკი უნდა ეიყიდო, ქათმის სისხლში უნდა გაურიო და ისე უნდა დაეწეროო; იმ დაწერილებიდგან ზოგი უნდა ასათო, ზოგი ზედ უნდა დაკერეოთო, და ერთი კი ჯვარედინ გზაში ჩაფლათო,—რომ ავი მანე განშორდეს სამარადოთო;—ამასთანავე აი, ეს არაბული წიგნი იმიტომ მოვიტანე, რომ ამითი შეულოცო, გადუარეს ავმა ქარმა და მიეცეს მშვიდი ძილიო!

მართლაც იმან გადაშალა მოტანილი წიგნი და დაიწყო რაღაც ბურდღუნი, მანამ ბურდღუნს გაათავებდა, მომდიოდა ჯავრი, რომ ასე თვალ და თვალ მატყუებდა; მაგრამ რ გაეწყობოდა: დედა-კაცების ხელში ყოფნა ძნელია. წიგნს ჩაეხედე; ენახე, რომ ნამდეილი თათრული დაბეჭდილი წიგნი იყო, და არა არაბული და ამასთანავე ბუტბუტებდ ქართულათ. გავიქნიე თავი და წაიბურტ ჩუნე: «რა დროების დედაკაცი რა დროებაში მყოფს გვატყუებს მეთქი!»

ახლა წარმოიდგინეთ, თაეის ფლიდობით რამდენს სხვას მოატყუებდა ეს დედაკაც რამდენს ღარიბსა და ღატაკს გამოსტყუებდ უკანასკნელ კაპეიკს და მორჩენის ნაცელათ რამდენ ავათმყოფს შაე დდეს დაუყენებდა!.. ამისთანაები სხვაც რამდენია ჩვენს ქალაქში სოფლებში ხომ იმათგან ხალხს შეელა არ აქეს....

ბ. ბერძენოეი.

თფილისი, 1872 წ. მარტის 13.

Дозволено цензурою Тифлисъ 15 МАЯ 1872 г. ბ. წერეთლის და ამხ. (დუბეფირის.) სტამბა. რედ.და გამომცემელი ბ. წერეთელი.